

ქალაქ ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №4

2015 წლის 25 თებერვალი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №46 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-80 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №46 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (სსმ, 30/12/2014 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების I თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	87607.8	114997.4	98842.3	1000.0	97842.3
გადასახადები	11628.1	13000.0	13000.0		13000.0
გრანტები	54416.5	76690.4	62817.3	1000.0	61817.3
სხვა შემოსავლები	21563.2	25307.0	23025.0		23025.0
ხარჯები	58457.8	77144.3	71582.6	928.6	70654.0
შრომის ანაზღაურება	8221.5	8700.0	18129.6		18129.6



საკონელი და მომსახურება	15019.4	16459.6	25188.0		25188.0
პროცენტი	2467.2	2649.7	3040.4		3040.4
სუბსიდიები	22013.3	30847.4	12126.9		12126.9
სოციალური უზრუნველყოფა	4809.9	4132.9	6261.8		6261.8
სხვა ხარჯები	5926.4	14354.7	6835.9	928.6	5907.3
საოპერაციო სალდო	29150.0	37853.1	27259.7	71.4	27188.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	24826.4	39446.0	48202.3	2925.9	45276.4
ზრდა	25379.9	39846.0	50802.3	2925.9	47876.4
კლება	553.4	400.0	2600.0		2600.0
მთლიანი სალდო	4323.6	-1592.9	-20942.6	-2854.5	-18088.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	2592.7	-9990.5	-29954.1	-2854.5	-27099.6
ზრდა	2592.7				
ვალუტა, დეპოზიტები	2592.7				
კლება		9990.5	29954.1	2854.5	27099.6
ვალუტა, დეპოზიტები		9990.5	29954.1	2854.5	27099.6
ვალდებულებების ცვლილება	-1730.9	-8397.6	-9011.5		-9011.5
კლება	1730.9	8397.6	9011.5		9011.5
სესხები	1730.9	8397.6	9011.5		9011.5
ბალანსი	0	0	0	0	0

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



				ტრანსფერები	
შემოსულობები	88161.2	115397.4	101442.3	1000.0	100442.3
შემოსავლები	87607.8	114997.4	98842.3	1000.0	97842.3
არაფინანსური აქტივების კლება	553.4	400.0	2600.0		2600.0
გადასახდელები	85568.5	125387.9	131396.4	3854.5	127541.9
ხარჯები	58457.8	77144.3	71582.6	928.6	70654.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	25379.9	39846.0	50802.3	2925.9	47876.4
ვალდებულებების კლება	1730.9	8397.6	9011.5		9011.5
ნაშთის ცვლილება	2592.7	-9990.5	-29954.1	-2854.5	-27099.6

მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 98842.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
შემოსავლები	87607.8	114997.4	98842.3
გადასახადები	11628.1	13000.0	13000.0
გრანტები	54416.5	76690.4	62817.3
სხვა შემოსავლები	21563.2	25307.0	23025.0

მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 13000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
11	გადასახადები	11628.1	13000.0	13000.0
113	გადასახადები ქონებაზე	11625.3	13000.0	13000.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	11625.3	13000.0	13000.0
11311	ქონების გადასახადი	11625.3	13000.0	13000.0



11311-113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	9512.9	11430.0	11430.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	792.8	520.0	520.0
113114-113115	მიწაზე ქონების გადასახადი	1312.9	1050.0	1050.0
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	6.8		
116	სხვა გადასახადები	2.7		

მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 62817.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
13	გრანტები	54416.5	76690.4	62817.3
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	54416.5	76690.4	62817.3
1331	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	54416.5	76690.4	53542.3
	ტრანსფერი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან	46527.3	60540.5	53542.3
13311	გათანაბრებითი ტრანსფერი	44494.8	52542.3	52542.3
13312	სპეციალური ტრანსფერი	2032.5	7998.2	1000.0
	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1407.8	7857.1	1000.0
	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	1407.8	7857.1	1000.0
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	624.7	141.1	
13313	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	7889.2	16149.9	
1332	კაპიტალური დანიშნულების გრანტები			9275.0
13321	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან			9275.0

მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 23025.0 ათასი ლარის ოდენობით:



კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	21563.2	25307.0	23025.0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	3824.3	3065.0	2225.0
1411	პროცენტები	3025.4	2290.0	1500.0
1415	რენტა	798.9	775.0	725.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	268.8	150.0	100.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	530.2	625.0	625.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	11702.6	15550.0	16350.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	11696.8	15550.0	16350.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	361.0	300.0	350.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	361.0	300.0	350.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.4		
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	11.4		
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	9544.7	12650.0	13000.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1755.9	2000.0	2000.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		600.0	1000.0
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	22.5		
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.8		
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5.8		
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5.8		
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	4906.3	4500.0	4000.0



145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1130.0	2192.0	450.0
-----	--	--------	--------	-------

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 71582.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
2	ხარჯები	58457.8	77144.3	71582.6
21	შრომის ანაზღაურება	8221.5	8700.0	18129.6
22	საქონელი და მომსახურება	15019.4	16459.6	25188.0
24	პროცენტი	2467.2	2649.7	3040.4
25	სუბსიდიები	22013.3	30847.4	12126.9
27	სოციალური უზრუნველყოფა	4809.9	4132.9	6261.8
28	სხვა ხარჯები	5926.4	14354.7	6835.9

მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 48202.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 50802.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	422.1	499.3	1039.4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება			
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	23486.7	38617.0	49077.9
04 00	განათლება	67.2	329.1	380.6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	276.6	330.7	304.4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	1127.2	69.9	
	სულ	25379.9	39846.0	50802.3



ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 2600.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	553.4	400.0	2600.0
311	ძირითადი აქტივები	186.2		600.0
314	არამწარმოებლური აქტივები	367.2	400.0	2000.0

მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 122384.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
7	სულ	83837.6	116990.3	122384.9
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13260.0	14832.8	13354.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	10702.6	12093.4	10297.8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	10428.2	11628.1	9897.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	274.4	465.3	400.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2467.2	2649.7	3040.4
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	90.1	89.7	16.1
702	თავდაცვა	39.7	40.0	40.0
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	39.7	40.0	40.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	18251.9	30945.8	18587.7
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	77.0	1466.4	
70421	სოფლის მეურნეობა	77.0	1466.4	



7045	ტრანსპორტი	17628.2	28510.5	16470.7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	17628.2	28109.4	16470.7
70452	საზღვაო ტრანსპორტი		401.1	
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	185.0	422.7	239.5
70473	ტურიზმი	185.0	422.7	239.5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	361.6	546.2	1877.5
705	გარემოს დაცვა	9312.3	9758.0	17166.9
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	5657.4	6883.6	6762.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3654.9	2874.4	10404.9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	15835.9	23596.3	25773.1
7061	ბინათმშენებლობა		2500.0	
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	6536.9	12776.7	7577.0
7063	წყალმომარაგება	4620.2	4252.6	13493.9
7064	გარე განათება	4092.5	3462.1	3721.6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	586.3	604.9	980.6
707	ჯანმრთელობის დაცვა	1845.6	1912.3	2957.9
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	172.4	222.2	269.0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	172.4	222.2	269.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	159.1	134.7	119.9
70722	სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურება	159.1	134.7	49.4
70723	სტომატოლოგიური მომსახურება			70.5
7073	საავადმყოფოების მომსახურება	83.2	263.2	816.1
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	44.0	203.3	709.8
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	39.2	59.9	106.3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	1025.2	846.8	972.8



7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	405.7	445.4	780.1
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	12659.7	19306.7	21976.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	7711.7	14097.1	16125.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	4704.4	4884.0	5695.5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	243.7	325.6	155.3
709	განათლება	7609.2	12091.9	14802.1
7091	სკოლამდელი აღზრდა	7609.2	12056.9	14719.6
7092	ზოგადი განათლება		5.0	
70922	საბაზო ზოგადი განათლება		5.0	
7094	უმაღლესი განათლება			52.5
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება			52.5
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში		30.0	30.0
710	სოციალური დაცვა	5023.3	4506.5	5900.2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	22.3	25.4	77.7
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	22.3	25.4	77.7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	542.6	629.7	629.7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1285.1	1049.6	1513.4
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	2959.5	2801.8	3679.4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	213.7		

მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -20942.6 ათასი ლარის ოდენობით:

მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -29954.1 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 29954.1 ათასი ლარის ოდენობით:



(ათას ლარებში)				
კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	2592.7	-9990.5	-29954.1
	ზრდა	2592.7		
321	საშინაო	2592.7		
3212	ვალუტა და დეპოზიტები	2592.7		
	კლება		9990.5	29954.1
321	საშინაო		9990.5	29954.1
3212	ვალუტა და დეპოზიტები		9990.5	29954.1

მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -9011.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 9011.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)				
კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-1730.9	-8397.6	-9011.5
	კლება	1730.9	8397.6	9011.5
331	საშინაო	1730.9	8397.6	9011.5
3314	სესხები	1549.0	8397.6	9011.5
3328	სხვა კრედიტორული დავალიანებები	181.9		

ბ) დადგენილების II თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
თავი II

ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები შემდეგი რედაქციით:



პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

1

ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტის შესაბამისად დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

1.1

ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში. ნორმალური ქუჩა და გზა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებს და დონეს. ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის. ნორმალური ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე. ამავე დროს, ქ. ბათუმს გააჩნია ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ტრანზიტული მიმოსვლის თვალსაზრისით. რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო კორიდორის შექმნას განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. ქალაქის მოვლილი ქუჩები, გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ.

აქტუალურია ასევე ქალაქში მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს მუნიციპალური ავტობუსების მომსახურების სისტემის გაუმჯობესებას.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე);

ესენინის ქუჩის მონაკვეთის (ჭავჭავაძის ქუჩიდან წერეთლის ქუჩამდე) კეთილმოწყობა;

ბერიძის ქუჩის მონაკვეთის (ჭავჭავაძის ქუჩიდან წერეთლის ქუჩამდე) კეთილმოწყობა;

ზ. გორგილაძის ქუჩის გაგრძელება ჯავახიშვილის ქუჩიდან შარტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიამდე, ზ. გორგილაძის ქუჩის მონაკვეთის (გრიბოედოვის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე) კეთილმოწყობა;

3. აბაშიძის ქუჩის მონაკვეთის (ჭავჭავაძის ქუჩიდან პუშკინის ქუჩამდე) კეთილმოწყობა;

ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე გზების კეთილმოწყობა;

ზედადელეს ქუჩის ზედა ნაწილის I შესახვევის კეთილმოწყობა;

1.1.1

ზედადელეს ქუჩის ზედა ნაწილის II შესახვევის კეთილმოწყობა;



დ. თავდადებულის ქუჩის (რუსთაველის ქ-დან ნინოშვილის ქ-მდე) მონაკვეთზე სადგომზე შეჭრა;

თევდორე მღვდლის ქუჩის მონაკვეთის №27, №29 ქუჩის ასფალტირება, გარე განათების მოწყობა;

ჯინჭარაძის ქუჩის №1-დან №11-მდე საცალფეხო ბილიკისა და მოაჯირის მოწყობა;

თამარ მეფის გამზირი №48-ის მიმდებარედ ხიდის გაფართოება და მოაჯირების მოწყობა;

ჯინჭარაძის ქუჩის №21-ის მიმდებარედ ხიდზე მოაჯირების მოწყობა;

გოგებაშვილის ქ. №28-სა და №30 სახლებს შორის არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, ზედალელეს ქუჩა №9-ის მიმდებარედ რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა;

თამარ მეფის გამზირი №42-დან №54-მდე საცალფეხო ბილიკის მოწყობა;

მახინჯაურის ცენტრში ბორდიურისა და ფილების მოწყობა;

ონცელიძის ქ.№19-ის მიმდებარედ ხიდზე მოაჯირის მოწყობა;

ქალაქის ქუჩებში ვიდეო-კონტროლის სისტემის დანერგვა;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

1.1.2 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია;

სატრანსპორტო-საგზაო რეგულირების თანამდეროვე საშუალებების დანერგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01 03)

1.1.3 მუნიციპალურ ტრანსპორტის ტარიფების სუბსიდირების მიზნით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ საოპერაციო დეფიციტის დაფარვა;

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მოსახლეობის ცხოვრებისეული პირობებს ქმნის, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

ქალაქის დინამიური ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე, კომუნალური სფეროს და მართვის სისტემებში ცვლილებებისა და ნოვაციების გარეშე შეუძლებელია მისი ეფექტური ფუნქციონირება.

1.2 ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე უახლოეს მომდევნო წლებშიც კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“ რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის სრულ რეაბილიტაციას.



მიწისქვეშა კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტულია ქალაქის ქუჩების სათანადო მდგომარეობაში შენახვა (დასუფთავება, განათება), ასევე ქალაქში არსებული ავარიული სახლების რეაბილიტაცია და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაცია;

ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია;

მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

თამარის დასახლება სახლი №1 და სახლი №3 მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემის რეკონსტრუქცია;

აღმაშენებლისა და გენერალ აბაშიძის, აღმაშენებლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია;

სანიაღვრე ჭის სახურავების შექმნა;

კაზინეცის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა;

კახაბრის ქუჩის მონაკვეთის სანიაღვრე არხის მოწყობა;

აღმაშენებლისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

ურების ქუჩის I შესახვევში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

1.2.1

წმინდა ნინოს და სვიმონ კანანელის ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

აფსაროსის გზატკეცილის I შესახვევი №30 სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

ნაჭყებიას ქუჩის სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

მ. ლებანიძის ქ.№1-დან №21-მდე სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

ტბეთის ქუჩა №18-ის მოპირდაპირედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

წმინდა ევდემოზ დიასამიძის ქუჩის სანიაღვრე არხისა და გარე განათების მოწყობა;

მაიაკოვსკისა და სახოკიას ქუჩების კვეთაში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

ანდრია პირველწოდებულის III შესახვევში სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

ანდრია პირველწოდებულის VI ჩიხში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

ზედაელის დასახლება №14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია;

სვიშვესკის შესახვევში გაბიონის მოწყობა;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

1.2.2

მუსხელიშვილის ქ. №84-ში ჭაბურღილის სისტემის მოწყობა.

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)



1.2.3

აღმაშენებლისა და გენერალ აბაშიძის, აღმაშენებლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

მესხეთის ქუჩის I ჩიხის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის, მესხეთის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე დაერთების სამუშაოები

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 04)

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების (ფაზა 2, ფაზა 3) დამატებული ღირებულების გადასახადის თანადაფინანსება;

Lot Ic, ქალაქის მე-3 და მე-4 ზონაში წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება (ფაზა 3);

1.2.4

ჩაქვისა და მახინჯაურის წყლის სამარაგო რეზერვუარების, თამარისა და ბარცხანის დასახლებებში წყალარინების სადგურების ელ. ენერჯის ქსელში ჩართვის საფასურის დაფარვა;

მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება, წყალმზომების დაყენება;

ქალაქის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემის მომსახურების ტარიფების შენარჩუნების მიზნით შპს „ბათუმის წყალის“ სუბსიდირება;

მახინჯაური-მწვანე კონცხის წყლის ქსელის რეაბილიტაცია, ჩაქვის ტერიტორიაზე - წყალარინების მობილური გამწმენდი ნაგებობისათვის ქსელის მშენებლობის სამუშაოების თანადაფინანსება;

ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის ქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ქალაქის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;

1.2.5

ნარჩენების გატანა;

მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია;

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

1.2.6

განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაცია;

ელექტროენერჯის საფასურის დაფარვა;

ქალაქის ქუჩების განათების კაპიტალური სამუშაოები;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 08)

სახლების სადარბაზოების კეთილმოწყობა;

ლიფტების შეკეთება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კომუნალური სისტემის



მოწესრიგება;

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

ქალაქში არსებული ავარიული და სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების შეკეთება-რეაბილიტაცია (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები);

1.2.7

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის მართვა;

დისტანციური პულტით მართვადი ბარიერის მოწყობა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავების შეკეთება (წყალშემკრები ღარები და წყალშემკრები მილები);

ახალი ლიფტების მონტაჟი.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

ქ. ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული განვითარების პერსპექტივები, ასევე გეოგრაფიული გარემო ხელს უწყობს ბათუმს, რათა იგი გადაიქცეს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად, მაგრამ ბუნებრივი რესურსების გარდა აუცილებელია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზანმიმართული პოლიტიკა, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ უფრო მეტი ტურისტი და დამსვენებელი არა მარტო ტურისტული სეზონის, არამედ მთელი წლის განმავლობაში.

1.3

ინფრასტრუქტურის განვითარებით და კეთილმოწყობის პროექტების რეალიზებით შესაძლებელია მოსახლეობისათვის უკეთესი მუნიციპალური სერვისების შეთავაზება, ქალაქის ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება და უახლოეს მომავალში მაქსიმალური ეფექტის მიღება როგორც მოსახლეობის დასაქმების, ასევე შემოსავლების გაზრდის მხრივ.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქალაქში სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

კონკურსი- რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად;

1.3.1

კონკურსი - 9 აპრილის გმირთა მემორიალის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად;

კონკურსი - ტბელ აბუსერისძის ქანდაკების ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად;

კონკურსი - ჟიული შარტავას მემორიალური ბიუსტის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაქმნელად;

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის გაწევა.

1.3.2

ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქალაქის ქონების (მ.შ. მიწის) პასპორტიზაცია;



უსახური და უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მონაწილეობით გასაფორმებელი ხელშეკრულებების საჯარო რეესტრი და სანოტარო მომსახურება;

ქალაქის ქუჩების დაგეგმარება.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქ. ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 ნოემბრის №92 განკარგულების შესაბამისად, ქონების მესაკუთრეებზე კომპენსაციების გაცემა

1.3.3 ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელების მიზნით ან/და ქალაქის ტერიტორიებზე ექსპროპრიაციის განხორციელებისათვის ქონების მესაკუთრეებზე კომპენსაციების გაცემა;

ქ. ბათუმის მერიის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი სხვა ტიპის კომპენსაციების გაცემა;

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 04)

1.3.4

შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ქალაქის გაფორმება (პროგრამული კოდი 03 03 05)

1.3.5

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები.

პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

დემეტრე თავდადებულისა და ბესიკის ქუჩების კვეთაში არსებული სტადიონის გადატანა და მის ადგილას სკვერის მოწყობა;

1.3.6

ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის კეთილმოწყობა;

ისრაფილ ჯინჭარაძის სახელობის სკვერის კეთილმოწყობა;

ჯავახიშვილის ქ. №70, №72 და №74-ის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 07)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებების განხორციელება;

1.3.7

ყვავილებისა და ხე-მცენარეების შექმნა;

შადრევნების მოვლა პატრონობა.

ქალაქის გამწვანების სამუშაოებისათვის აუცილებელი სპეც. ტექნიკის შექმნა.

1.3.8

ბათუმის განვითარების ფონდი (პროგრამული კოდი 03 03 08)

ბათუმის განვითარების პროექტების შემუშავება-მომზადება და მათ განხორციელებაში და რეალიზებაში მონაწილეობის მიღება;

აქტივების რუქის შექმნის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება.



სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 09)

სასაფლაოების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;

1.3.9 უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა;

ფერიის სასაფლაოს პასპორტიზაცია;

ქალაქ ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს ინფრასტრუქტურის შექმნა (ჩაქვის ტერიტორიაზე).

ტურისტული ობიექტების მართვა (პროგრამული კოდი 03 03 10)

1.3.10

შპს - ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს სუბსიდირება.

განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

1.4

განხორციელდება ადგილობრივი დონის სასპორტო და დასვენების ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, მასიური სპორტის განვითარებისათვის, სპორტული მოედნების მშენებლობა, სასპორტო და დასვენების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამყარება და სრულყოფა საბავშვო და მოზარდთა სპორტის, მასიური ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის, სავარჯიშო-სანახაობრივი და სასწავლო-სავარჯიშო ობიექტების შექმნა ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი მოზარდი თაობის აღსაზრდელად და მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის, ასევე აშენდება საბავშვო ბაღები და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარდება არსებულ საბავშვო ბაღებს.

1.4.1

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 01)

კახაბრის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა;

ტაბიძის ქ. N14-ში მდებარე შენობის საბავშვო ბაღად გადაკეთების სამუშაოები;

მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე N5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო-დაშენების სამუშაოები;

ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე №13, პუშკინის ქუჩაზე მდებარე N16, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე N17, სამრეწველო უბანში მდებარე N23 და N24 საბავშვო ბაღების შენობების სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ინასარიძის ქუჩაზე მდებარე №8 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 02)

კახაბრის ქ. N1-ში სპორტული მოედნის, ფრ. ხალვაშის N162-ში სპორტული მოედანის მოწყობა;

1.4.2

ახალი სპორტული მოედნების მშენებლობა;

ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობა;

გონიოს დასახლებაში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;

სარაგბო სტადიონის მშენებლობა.

პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)



2

განათლებლაზე ზრუნვა იწყება ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება სკოლამდელი განათლების დაფინანსება. ბავშვის ადრეული განვითარება ის საძირკველია, რომელზეც შემდეგ საზოგადოებისათვის სრულფასოვანი, ჯანსაღი პიროვნება შენდება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის ადრეულ განვითარებასა და აღზრდაზე ზრუნვა, მისთვის განვითარების მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სწორედ ამიტომ, საბავშვო ბაღში აღზრდასა და სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

2.1

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. საბავშვო ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, ბევრ ქვეყანაში არსებობს და წარმოადგენს, ჩვეულებრივ, პირველ რგოლს განათლების სისტემაში. პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების 6500-ზე მეტი აღსაზრდელისთვის შექმნილი იქნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ბავშვთა ბაღებში ნორმალური პირობების უზრუნველყოფა პატარებისთვის მათი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მიზნით; ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სწორი ფიზიკური განვითარება. განხორციელდება საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო მიმდინარე ხარჯების დაფინანსება და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

საბავშვო ბაღების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)

საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება;

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

2.1.1 საბავშვო ბაღების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (გადამზადება);

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

მაიაკოვსკის ქუჩაზე მდებარე №18 საბავშვო ბაღის რემონტი.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

2.2

განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მისი მოტივირება. სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა პროგრამა „წარმატებულ სტუდენტთა მხარდაჭერა“..

წარმატებულ სტუდენტთა მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 04 03 02)

2.2.1

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ სტუდენტთა დახმარება, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და აკმაყოფილებენ პროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.

ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

ბათუმი ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილია. ბოლო წლებში მთლიანად შეიცვალა და მოწესრიგდა ქალაქი. შეიქმნა უამრავი ტურისტული ობიექტი, გაიხსნა მსოფლიო ბრენდების სასტუმროები, არაერთი კაფე-რესტორანი და გასართობი



2.3

ქ. ბათუმის, როგორც ტურისტული ქალაქის განვითარების კონცეფცია გულისხმობს სერვისის სფეროში დასაქმებული პერსონალის მომსახურების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას და ამ მიზნით, მათ პროფესიულ გადამზადებას. ამ მიმართულებით (ტურისტული და საკურორტო მომსახურების სფერო) მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა პროგრამა „ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა“. პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას სარესტორნო მომსახურების, სასტუმრო მომსახურებისა და ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე თურქეთსა და შვეიცარიაში.

ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა.

2.3.1

ახალგაზრდების მიერ დამატებითი სამუშაო გამოცდილების მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

3

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ეკონომიკური განვითარების პარალელულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების ხელშეწყობა და კულტურული ფასეულობების დახვეწა. მრავალი სოციალური-ეკონომიური ცვლილების კვალდაკვალ, რამაც მსოფლიო ჩვენით დააინტერესა, მნიშვნელოვანია უნიკალური კულტურული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ამ მხრივ მიმართული კულტურის პროგრამის ღონისძიებები ხელს შეუწყობს ბათუმის საერთაშორისო-საფესტივალო ქალაქად დამკვიდრებას, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურებას, აქ მოღვაწე და მოწვეულ ხელოვანთა წარმოჩენასა და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას, ნოვატორული იდეების წარმოჩენასა და წახალისებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას.

ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქ. ბათუმის ბიუჯეტიდან გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიების დაფინანსება, კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პირების წახალისება და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება რათა ქალაქმა შეძლოს საერთაშორისო სპორტული და კულტურული ღონისძიებების და აქტივობების მაღალ დონეზე ორგანიზება და ჩატარება.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

3.1

სპორტული ცხოვრების პროპაგანდა, მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ერის ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის მომავლისა. დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და საკლუბო გუნდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში;

ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში;



საერთაშორისო ტურნირი ტაეკვონდოში;

მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში;

საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ.ალთაბაევის თასზე;

საერთაშორისო ტორნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე;

3.1.1

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში;

საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში;

ახალგაზრდა სპორტსმენთა მხარდამჭერი ღონისძიებები;

ტურნირი ჩოგბურთში ქ. ბათუმის მერიის თასზე;

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირებისა და შეჯიბრებების ორგანიზება;

გ.მენაბდის სახელობის ტურნირი ფეხბურთში;

სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან საახალწლო-საშობაო შეხვედრა.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

საფეხბურთო კლუბ "დინამო ბათუმი"-ს სუბსიდირება;

სარაგბო კლუბ "ბათუმი"-ს სუბსიდირება;

ფრენბურთის კლუბ "ბათუმი"-ს სუბსიდირება;

ხელბურთის კლუბი "ბათუმი"-ს სუბსიდირება;

3.1.2

წყალბურთის კლუბ "ბათუმი"-ს სუბსიდირება;

ბათუმის საცხენოსნოსო კლუბის სუბსიდირება;

კლუბ „ბათუმის ავტოდრომი“-ს სუბსიდირება;

"საჭადრაკო კლუბი ნონა"-ს სუბსიდირება;

შპს საკალათბურთო კლუბი "ბათუმი"-ს სუბსიდირება.

სპორტულ-ახალგაზრდულის ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 03)

ზამთრის სპორტის სახეობათა და დახურული სპორტული დარბაზის მატერიალური ბაზის მოვლა პატრონობა, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება;

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის შექმნა;

3.1.3 სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის შექმნა;

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

პროექტი - ეზოს ფეხბურთი;

ბათუმის ადმინისტრაციებში შემავალ უბნებს შორის სპორტული თამაშები სპორტის მასობრივ სახეობებში.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)



პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელოვანი საზოგადოების განვითარებას, მათი შესაძლებლობების ზრდას და კავშირების გაღრმავებას მსოფლიოს თანამედროვე სახელოვნებო ინსტიტუტებთან. მნიშვნელოვანია ქალაქის კულტურული ცხოვრების გაჯანსაღება, გამრავალფეროვნება და განვითარება რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბათუმის როგორც კულტურის მნიშვნელოვანი კერის ცნობადობისა და ტურისტული პოტენციალის ზრდას. ამ მხრივ პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ბათუმის, როგორც ფესტივალების ქალაქის განვითარებას, რაც გამოიხატება ჩვენი ქალაქისათვის ტრადიციული და ახალი ფესტივალების ჩატარებით. ამ მიზანს ემსახურება ასევე ქალაქში არსებული კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

3.2

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კულტურული ფასეულობების დახვეწა. შემოქმედებითი კონკურსები, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები და დამხმარე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა ამ გამოწვევის დაძლევის საშუალებაა. აღნიშნული პროგრამა ასევე მიზნად ისახავს იმ ადამიანების და ჯგუფების ხელშეწყობას, რომლებიც მოღვაწეობენ კულტურის სხვადასხვა დარგში.

ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი (პროგრამული კოდი 05 02 02)

კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;

3.2.1

ქალაქური მუსიკის ფესტივალის ორგანიზება;

საავტორო კინოს ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება;

ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზება.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

კულტურულ- შემოქმედებითი ხასიათის პროექტების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

3.2.2

საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

რბილი ინვენტარის შექმნა (უნიფორმები);

ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება;

დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

3.2.3

საბიბლიოთეკო საქმიანობის ორგანიზება;

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება;

ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების შექმნა.

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

3.2.4

ბოტანიკური ბაღის მიმდინარე მოვლა პატრონობა;

ბოტანიკურ ბაღში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.



**შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერა
(პროგრამული კოდი 05 02 07)**

- 3.2.6 „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს სუბსიდირება;
„შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს კაპიტალის ზრდა.

თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 11)

- 3.2.7 თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

- 3.3 პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ქალაქ ბათუმის ახალგაზრდების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის. მის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები. ახალგაზრდობის საქმეთა მუნიციპალური პროგრამა ქმნის მექანიზმებს რათა ხელი შეეწყოს ბათუმში ახალგაზრდული სფეროს განვითარებას და ეფექტურ მართვას. ცალკეული ღონისძიებები იძლევა შესაძლებლობას ხელი შეეწყოს ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებაში და მათი სამოქალაქო შეგნების ზრდას.

ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 01)

ინტელექტუალური თამაშები რა? სად? როდის?;

ბათუმელი ახალგაზრდების პიროვნული უნარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა;

- 3.3.1 ბათუმის ახალგაზრდული თეატრალური კვირეული;

სამთო ახალგაზრდული ბანაკი;

სტუდენტ-ახალგაზრდული კვირეული;

ბათუმელი ახალგაზრდების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;

აქტიური ახალგაზრდა მოხალისე.

**პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
(პროგრამული კოდი 06 00)**

ჯანმრთელობის დაცვა განიხილება, როგორც რთული საზოგადოებრივი დინამიკური ფუნქციონალური სისტემა, რომელსაც ადამიანთა საზოგადოება თავისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ქმნის და გამოიყენებს ღონისძიებათა დიდი კომპლექსის განხორციელებისათვის თითოეული ადამიანის და მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვისა და მისი მუდმივი გაუმჯობესების მიზნით.

- 4 სოციალური დაცვა წარმოადგენს მოქალაქეთა კანონით განმტკიცებული ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სოციალური უფლებების დაცვას და ცხოვრების სოციალურად მიღებული ღონის მიღწევას.



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამები მიმართულია, რათა უზრუნველყოს ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობა, ზოგიერთი, განსაკუთრებით საშიში დაავადების ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა, მოსახლეობის ინფორმირება, სოციალურად დაუცველ ფენებზე, ქრონიკულად დაავადებულ პირებზე და ბავშვებზე ზრუნვა, ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო სოციალური პირობების შექმნა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

4.1

